ქ. თბილისი, იოსებ და ლეონ ორბელების
ქუჩა №64,
არასახელმწიფო საერთო სკოლა ,,ალბიონი“
სახარნძრო უსაფრთხოების გარე კიბის და შშმ
პირის ლიფტის, საბავშვო ბაღის I სართულის
ნაწილში 8 გასასვლელი კარის და 3 ლითონის
ბაქნის მოწყობა.

მშენებლობის ორგანიზაციის
პროექტი
(კორექტირებული)

შემსრულებელი ა. მაისაშვილი

ქ.თბილისი 2024წ.

ქ. თბილისი, იოსებ და ლეონ ორბელების ქუჩა №64, არასახელმწიფო საერთო სკოლა „ალბიონი“ სახარნახრო შსაფრთხოების გარე კიბის და შშმ პირის ლიფტის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტის შედგენას საფუძვლად დაედო კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, არსებული მშენებლობის დათვალიერება და შესწავლა. მასთან სამანქანო მისასვლელი გზა გათვალისწინებულია და წარმოდგენილია საპროექტო გენგეგმის მიხედვით. სამშენებლო სამუშაოები წარიმართოს ძირითადად ხელის საწყვეტელას და დამცავი სამშენებლო ბადის გამოყენებით.

უბანი ხასიათდება შემდეგი კლიმატური და სეისმური ფაქტორებით: ქარის დაწოლა – 45კგ.მ./მ2; თოვლის საფარის წონა - 50კგ/მ2, საამშენებლო მექანიზმების ნუსხა მოყვანილია ცხრილში მომდევნო ფურცელზე. სამუშაოთა წარმოების დროს აუცილებელია შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა, აგრეთვე შენობის მშენებლობის დროს სელიტებურ ზონაში მტვრის გაფანტვისაგან დამცავი ღონისძიებების უზრუნველყოფა.

რიგითობა და ეტაპები

მშენებლობის პირველი რიგი (დასრულებულია)

1. **ეტაპი.**
   მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია სამშენებლო მოედნის მოწესრიგებასთან, მათ შორის, შესანარჩუნებელი მწვანე ნარგავების დაცვა.
2. **ეტაპი.**
   შენობა-ნაგებობის არსებული ფანჯრის ღიობების ჩაჭრა.

მშენებლობის პირველი რიგის სამუშაოები დასრულებულია, ამიტომ ამოღებული იქნა კალენდარული გარაფიკიდან.

მშენებლობის მეორე რიგი

1. **ეტაპი.**
   შენობა-ნაგებობისთვის სახანძრო ლითონის კიბის მოწყობა. - **დასრულებულია და შესაბამისად ამოღებულია კალენდარული გრაფიკიდან**
2. **ეტაპი.**
   ლიფტის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები;- **დასრულებულია და შესაბამისად ამოღებულია კალენდარული გრაფიკიდან.**
3. **ეტაპი.**
   ლიფტის ძირითადი რკინის კონსტრუქციული სისტემის მოწყობის დასრულება;
4. **ეტაპი.**
   ლიფტის შახტის სახურავისა და გადახურვის მოწყობის დასრულება;
5. **ეტაპი.**
   რკინის კიბის კონსტრუქციების შეღებვა;
6. **ეტაპი.**
   შენბა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები;
7. **ეტაპი.**
   მიწის ნაკვეთის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამუშაოები.
8. **ეტაპი.** საბავშვო ბაღის ნაწილში I სართულზე შენობა-ნაგებობის არსებული ფანჯრის ღიობების ჩაჭრა.
9. **ეტაპი.** საბავშვო ბაღის ოთახებში ჩაჭრილ ღიობებში გასასვლელი კარების და ვიტრაჟების მოწყობა და ლითონის ბაქნების (საფეხურებით) მოწყობა (სულ 8 კარი და 3 ბაქანი).

მშენებლობის მეორე რიგს ჩაემატა 2 ეტაპი.

შენობის სამუშაოთა წარმოების პროექტის შესადგენი ნორმატივები

2.1 СНиП 3.01.01-85 „Оригинализация строительного производства" М.,1989

2.2 СНиП -4-80 „Техника безопасности на строительстве" М., 1981

2.3 Справочник инженера строителя, М., 1989

2.4 Строительные стреловые самоходные краны, М., 1984

2.5 კრებული სამახსოვრო "სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები",
ამონაწერი სამშენებლო ნორმებიდან და წესებიდან, თბ., 1987

2.6 მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მომუშავეთა შორის უსაფრთხოების და სანიტარულ ჰიგიენური მომსახურეობის საკითხებზე მთავარ წყაროდ წარმოდგენილია სააშენბლო ნორმების საქარტველოს მავრობის №41 დადგენილების პუნქტი №20-ის მიხედვით.

ასაშენებელი ობიექტის დახასიათება

შენობა გეგმაში მრავალკუთხა ფორმისაა. სხვადასხვა ზომებით, საპროექტო ლიფტი კარკასი და სახანძრო კიბე წარმოადგენს ლითონის კარკასს, 8 გასასვლელი კარი (საბავშვო ბაღის ნაწილში) მეტალოპლასტიკისაა, 3 ბაქანი მსუბუქი ლითონის კონსტრუქციისაა.

მშენებლობის ხანგრძლივობის შესახებ

შენობის მშენებლობა დაკვეთის მიერ განსაზღვრულია 22 თვის ვადაში რაც არის გაწერილი და გათვალიწინებული მშენებლობის კალენდარულ გრაფიკში. გეგმიურად დადგენილი ხანგრძლივობის დაცვა შენობის მშენებლობაზე 22 თვის პერიოდში შესაძლებელია უწყვეტი ფინანსირების შემთხვევაში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს ქ. თბილისი რბილმა და ზომიერმა კლიმატურმა პირობებმაც. სამუშაოთა შესრულების ვადების დაცვა უწყვეტ ფინანსირებაზეა დამოკიდებული, რაც უნდა გაითვალისწინოს დამკვეთმა.

სამშენებლო მანქანა-მექანიზმების, დანადგარებისა და ინსტრუმენტების ჩამონათვალი

№	დასახელება	მარკა	რაოდენ. ცალი
1	2	3	4
1	თვითმცლელი ძარიანი და სპეც-დანიშნულების ავტოტრანსპორტი სამშენებლო ტვირთის გადასატანად	სხვადასხვა	2
2	გადასატანი კომპრესორი	სო-48	1
3	ელექტროშესადუღებელი საჭრელი აგრეგატი	კომპ.	1
4	ავტოკენური შედუღების და ჭრის აპარატი	კომპ. პკუ-35	1
5	ელექტრო საწეგელა	-	1
6	სამშენებლო დამცავი ბადე	კომპ.	1

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის თაობაზე

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვა შენობათა სამშენებო ცალკეულ ეტაპებზე აუცილებელია სნ და წ III-4-80* "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე" და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების შესაბამისობით. მათგან ყურადღებას გამახვილებთ შემდეგზე:

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახელმწიფო სტანდარტში 12.013-88 ელექტრო კარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტრო კაბელები, ელექრტო სადენები და ელექტრო მოწყობილობები კი იზოლირებულად. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია სამშენებლო მოედანზე.

ელექტროსაწევლას მუშაობის პერიობში დაუშვებელია უცხო პირთა, დაუსაქმებელ მუშა-მომსახურეთა ყოფნა, სამშემებლო გენგეგმაზე შემოფარგლული ხელის საწევლას მოქმედების სახიფათო ზონის ფარგლებში.

ღამის პერიოდებში უსაფრთხოების ზონის აღმნიშვნელი ფირნიშები აუცილებელია უნდა განთავსდეს და განათდეს.

სამუშაოთა უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის, აგრეთვე შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფად აუცილებელია მშენებლობის ცხრილში მოცემული და ჩვენს მიერ რეკომენდირებული მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარ-სამარჯვეებით აღჭურვა. ცხადია შესაძლებელია მათი შეცვლაც უფრო თანამედროვეთი.

სამუშაო ოპერაციებში დასაქმებული მუშაკები დაცული უნდა იყვნენ თავის დამცავი ჩაფხუტებით.

დაუშვებელია მანქანების, ხელსაწყოებისა და მოწყობილობების დატოვება ჩართულ მდგომარეობაში ზედამხედველობის გარეშე. ცხადია მათი ტექნიკური მომსახურეობაც უნდა მოხდეს ძრავის გამორთვის შემდეგ.

ლითონის ელემენტების ჩაჭრას ელექტრო ან აიროვანი აპარატებით 5 მეტრის რადიუსში ფართობი უნდა გავანთავისუფლოთ წვადი მასალებისაგან, ხოლო 10 მეტრის რადიუსში ასაფეთქებელი (მაგალითად ჟანგბადის ბალონები) მასალებისაგან.

სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებულმა ყველა მუშაკმა (როგორც მუშამ, ასევე მოსამსახურე პერსონალმა) უნდა შეისწავლოს შრომის უსაფრთხოების წესები, გაიაროს ინსტრუქტაჟი, ჩააბაროს გამოცდა და სპეციალურ ჟურნალში დაფიქსიროს ხელმოწერა.

ბუნების დაცვითი და ჰაერის დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებები

შენობა მდებარეობს ქალაქ თბილისი საგარეუბნო განაშენიანებაში. აღნიშნულის გამო აუცილებელია შენობის მშენებლობის პერიოდში შემდეგი ღონისძიებების დაცვა:

გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა, ამოძირკვა ან განადგურება.

მონოლითური რკინა-ბეტონის, კედლების, ტიხრების, იატაკის მშენებლობის პროცესში მოსალოდნელია მტვრის გაფანტვა გარე სივრცეში, რის გამოც შენობას უნდა ჩამოეფაროს დამცავი სმშენებლო ფარად.

იკრძალება სამშენებლო ნაგვისა და ნარჩენების ღია წესით გადატანა და ჩამოყრა. სასურველია სამშენებლო ნაგვის პირდაპირ თვითმცლელი მანქანების ძარებში ჩაყრა. დიდი ზომის სამშენებლო ნარჩენები ან მოხსნილი ნაკეთობები უნდა ჩამოვუშვათ ამწის საშუალებით, აქაც სასურველია მაშინვე მოხდეს მათი ავტომანქანების ძარებში ჩატვირთვა და ნაგავსაყრელზე ან დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე მიტანა შესაბამისი სამსახურებთან შეთანხმების შემდეგ.

დაუშვებელია არსებული საკანალიზაციო ჭების დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

ასევე დაუშვებელია ამოსახაპი ორმოების მოწყობა. ინვენტარული საყოფაცხოვრებო ვაგონეტიდან საკანალიზაციო ჩადინება უნდა მოეწყოს უშუალოდ საქალაქო საკანალიზაციო ჭებში.

აკრძალულია სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება ფხვიერ მდგომარეობაში. ავტომანქანების ძარებში სამშენებლო ნაგვის ჩატვირთვის შემდგომ განხორციელდეს მისი ზედაპირი დანამვა,

შენიშვნა: A-3-ის ფორმატის ფდფ ფურცელი დაკელევებულია 1:500 მასშტაბში

ექსპლიკაცია:

1. არსებული სამანქანო შესასვლელი
2. არსებული სკოლა
3. არსებული სკოლის შენობის დამხმარე ნაწილი და ბაღი
4. არსებული სკოლის გადასასვლელი ხიდი
5. არსებული სკოლის შიდა ეზო გზით
6. ღია სტადიონი
7. გამწვანება (მწვანე მოლი, ხეები, ბუჩქები)
8. არსებული ფანჩატური
9. შეთანხმებული შშმ-ის ლიფტი
10. შეთანხმებული სახანძრო უსაფრთხოების გარე ღია ლითონის კიბე
11. საპროექტო ლითონის ღია ბაქანი და კიბე

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

საერთო ფართობი.....6701,93 მ² (საპროექტო)

სასწავლო აუდიტორიის ფართობი.....2731,39 მ²

დამხმარე ფართობი.....3970,54 მ² (საპროექტო)



1 სარეკონსტრუქციო კიბე

2 სარეკონსტრუქციო კიბე

3 დროებითი სამშენებლო ღობე

4 სარეკონსტრუქციო გასასვლელი კარები და ბაქნები

შ.პ.ს."უნივერსუმ"			არასახელმწიფო საერო სკოლა "ალბიონი"(ქ.თბილისი, იოსებ და ლეონ ორბელების ქუჩა, №64) - რეკონსტრუქცია	
დირექტორი	ნ.ოქუაშვილი		მშენებლობის ორგანიზაცია	2024
არქიტექტორი	ნ.ოქუაშვილი		საპროექტო გენგეგმა მ 1:500	ა
შეასრულა	ა.მაისაშვილი			

მშენებლობის კალენდარული გრაფიკი

შეთანხმებული კორექტირებული პროექტის მიხედვით

| № | სამუშაოთა ჩამონათვალი | დღე | 22 თვე | | |